ამ პირობებში არქიტექტურის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შენობის ნაწილების სათანადო პროპორციების, წყობის რითმისა და მასშტაბურობის განმარტვის აუცილებლობას, ე. ი. შენობის არქიტექტურის სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებას. რომლებიც ყველა ეპოქის მოწინავე ხუროთმოძღვრებს არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშების შექმნის საშუალებას აძლევდნენ.

მასშტაბურობის პრობლემა ყოველთვის ხუროთმოძღვრის ყურადღების ცენტრში იყო, განურჩევლად იმისა, თუ რა მასალისაგან და რა ეტაპში აშენებდა არქიტექტორი თავის ნაგებობას. ეს ყურადღება მასშტაბურობისადმი ყოველთვის ამკარავდება კლასიკური ძეგლების განხილვისას, რომლებიც განცოფრებას იწვევს არქიტექტურული წყობის ჰარმონიულობით.

ცნება „მასშტაბი არქიტექტურაში“ საგრძნობლად განსხვავდება მასშტაბის ცნების გაფრთხილებული გაგებისაგან. ჩვეულებრივ, მასშტაბი ნიშნავს სგრძობის ერთეულის გარკვეული რაოდენობის პირობით გამოსახულებას განსაზღვრულ მონაკვეთში (მაგალითად 1 სმ-ში). არქიტექტურული მასშტაბი კი არ გულისხმობს რაიმე კონკრეტულ სიდიდეს ან შეფარდებას და, აქედან, ცხადია, არ იზომება რიცხობრივი სიდიდეებით. არქიტექტურული მასშტაბი ბევრადაა დამოკიდებული ადამიანის მიერ შენობის მოცულობაში აღქმის უნარზე, თავისებურებაზე. ეს ცნება აღნიშნავს ზერხს, არქიტექტურული


ელემენტების კომპოზიციური წყობის საშუალებას, რომელიც დაფუძნებულია შენობის ნაწილების ურთიერთშეფარდებასა და ადამიანის მიერ ამ შეფარდების ათვისების უნარზე.

არქიტექტურული მასშტაბის უმთავრესი მიზანია ნაგებობის მოცულობათა ისეთი წყობის შექმნა, რომელიც განსაზღვრულ შთაბეჭდილებას მოახდენს ადამიანზე. ზუსტად რომ ვთქვათ, განსაზღვრული მასშტაბურობის გამოყენებით შესაძლებელია, რომ შენობა (მისი აბსოლუტური ზომების მიუხედავად) თანაზომიერი იქნეს ადამიანისადმი და პირიქით. მასშტაბურობის ეს თავისებურება დაფუძნებულია იმაზე, რომ შენობის სიდიდის აღქმა ხდება ნაგებობის არქიტექტურის ცალკეული ელემენტების, დეტალების თანაზომიერებით ადამიანთან. ეს იმას ნიშნავს, რომ არქიტექტურული მასშტაბის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა შენობის აბსოლუტური ზომები შეუფარდოს ადამიანისათვის ჩვეულ განზომილებას.

ამ დებულების საილუსტრაციოდ განვიხილოთ განზოგადებული მაგალითი. დავუშვათ, რომ განსაზღვრულ მანძილზე თქვენგან განლაგებულია დიდი მოცულობის კოშკი, რომელიც წარმოდგენილია მხოლოდ გლუვი, სრულიად დაუმუშავებელი სიბრტყით. კოშკის არათანაზომიერებას ადამიანისადმი ხაზს უსვამს ის გარემოება, რომ მის ვერტიკალურ მისწრაფებას წინ არ უდგება რაიმე თორიზონტალური ელემენტი.

საკმარისია იგივე მოცულობის კოშკი დანაწევრდეს რამდენიმე ჰორიზონტალური სარტყელით, რომ ნაგებობა თანაზომიერი გახდეს ადამიანისადმი (ნახ. 1). როცა ვაღწევთ ამ შედეგს? საქმე ისაა, რომ ორმა ჰორიზონტალურმა სარტყელმა კოშკის დიდი მოცულობა დაანაწევრა სამ სართულად, სართული კი — ადამიანის თანაზომიერი ელემენტია. თუმცა, შესაძლოა, რომ ამ შემთხვევაში თითოეული სართული მეტად მაღალი იყოს და ჩვეულებრივ სართულსაც აღემატებოდეს. უმცირესი სართული ადამიანის თვალმა აღიქვა, როგორც მისთვის ჩვეული სართულის სიმაღლე და ამან მისცა დაახლოვებითი ნაგებობა ადამიანისათვის ჩვეულ განზომილებასთან. სწორედ აქ ვლინდება ადამიანის აღქმის ის პირობითობა, რომელსაც ემყარება არქიტექტურული მასშტაბი. თუ იმავე კოშკზე, რომელიც დანაწევრებულია პო-

რიზონტალური სარტყელებით, მოვთავსებთ უტრირებულიდ მცირე ზომის დეკორატიულ კოშკურას ან რაიმე სხვა ელემენტს, ნაგებობა კვლევა არათანაზომიერი ხდება აღმართისადაც, თუმცა შესაძლებელია, რომ მისი აბ-



ნახ. 1

სოლუტური ზომები არც ისე დიდი იყოს (ნახ. 1, გ). ამ შემთხვევაში ჩვენი თვალისათვის აღმართის თანაზომიერ ელემენტად დეკორატიული კოშკურა იქცა, თუმცა სინამდვილეში იგი მეტად მცირე ასოლუტური ზომის არის. მაგრამ ვინაიდან კოშკურაზე ჩვენ უკვე გარკვეული წარმოდგენა გვაქვს და იგი გადაიქცა მთლიანად ნაგებობის აღქმის პრობოთ საზომად, შენობა ჰიპერტროფირებული ზომის გვეჩვენება.

არქიტექტურული მასშტაბურობის ზემოთ მოყვანილ თავისებურებას ასახელებს გარეთვე ისტორიული ძეგლების განხილვაც. ისე, მაგალითად, თუ არქიტექტურული ორდერის* პროპორციები, მართა დამოკიდებულება მთელ შენობასთან ანტიკური საბერძნეთისა და რომის შენობებს აღმართისადაც თანაზომიერების მასშტაბს უქმნის, ეგვიპტის ტაძრებში ორდერული წყობისა და პროპორციების თავისებურ გამოყენებას საწინააღმდეგო შედეგი მოაქვს. ძველი ეგვიპტის ტაძრების (მაგალითად, ლუქსორის ტაძარი) განხილვისას ცხადი ხდება, რომ ზეოთმოძღვარი მიმართავდა ყველა საშუალებას, რათა ხაზი გაესვა აღმართის წარმოდგენაში დამკვიდრებული ჩვეული განზომილებისადმი ნაგებობის შეუფარებლობისათვის. ანტიკური ოსტატების მისწრაფება — შექმნათ ისეთი მასშტაბური რიგი, რომელიც ხელს შეუწყობდა შენობის აღმართთან თანაზომიერების დადგენას, განსაკუთრებით მკვეთრად არის გამოვლენილი რომის კოლოსეუმის არქიტექტურაში. როგორც ცნობილია, რომის კოლოსეუმი საკმაოდ დიდი ასოლუტური ზომის ნაგებობაა, მაგრამ იგი სრულიად თანაზომიერია აღმართისადაც. ეს მიღწეულია შენობის პორიზონტალური დანაწევრებით სართულებად, რომლებიც თავის მხრივ ვერტიკალური ელემენტებით — ორდერებითა და მუშავებული. კლასიკური ორდერი კი პროპორციებით თანაზომიერია აღმართისადაც. ამგვარი დამუშავება რეა-

ლისტურს ხდის კოლოსეუმის მოცულობას და ამაღლებს მისიანათვის ჩვეულ მასშტაბს უმეტესად. შენობის მასშტაბური მნიშვნელობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი მოცულობის დანაწევრების ხასიათს.

პორიზონტალური და ვერტიკალური ელემენტები გარკვეულ ურთიერთგანლაგებას, რითმს, პროპორციულ დიდი გავლენა აქვს ნაგებობის მასშტაბზე, მის მეტად ან ნაკლებად მონუმენტურ ხასიათზე. ეს დებულება ნათელი ხდება მცხეთის ჭვარის ნაგებობის მოცულობათა თანაფარდობის განხილვისას. მიუხედავად იმისა, რომ მის კომპოზიციაში ჭარბობს ვერტიკალური ელემენტები, მკვეთრად გამოვლენილი პორიზონტალური ხაზები, განსაზღვრავს რა მოცულობათა ვერტიკალურ მისწრაფებას, ხელს უწყობს მცხეთის ჭვარის ნაგებობის მსხვილ მოცულობათა წყობის გამოვლენას და მთლიანად ნაგებობის მონუმენტურობას. მცხეთის ჭვარის მოცულობათა შესანიშნავი მასშტაბური წყობა გარემომცველ ბუნებასთან ქმნის პარპოზიულ ურთიერთობას, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს შორ მანძილზე მდგარი მაყურებელი.

თითქმის ანალოგიურ გარემოებაში განლაგებული ფუნქციონალური ზედა სადგურის შენობა. მაგრამ აქ არ ვხვდებით მოცულობათა ისეთ წყობას, რომელიც ნაგებობას შეუქმნიდა საჭირო მასშტაბს. ნაგებობის მოცულობა ირ მთავარ ნაწილად იყოფა: საყრდენი კედელი და თვით შენობა. ორივე ნაწილი მკვეთრად გამოვლენილი პორიზონტალური ელემენტია და მათ არ უპირისპირდება არავითარი ვერტიკალური მოცულობა. სწორედ ამ გარემოებაში განსაზღვრა შენობის არამასშტაბურობა მთისადაც. სწორედ ამიტომ მის გვერდით ასობა ხანს დადგმული ვერტიკალური კოშკი იმარჯვებს ქალაქის ზღვაში წამყვანი ბორცვისათვის ორთა ბრძოლაში.

ნაგებობის მასშტაბის გამოვლენაზე ახსნაზე უწყობს ხელს ანალოგიები ჩვეულ არქიტექტურულ ფორმებთან. ასეთი ფორმებია: კიბის საფეხურები, ქვის წყობის ელემენტები, კარ-ფანჯრები, კარნიზი და ა. შ. მასშტაბის ეს თვისება განსაკუთრებით ვლინდება შენობის შორი მანძილიდან განხილვისას. ამ დებულების საილუსტრაციოდ კვლევა ზოგად მაგალითს მივძღვით. თუ განსაზღვრული მოცულობის მქონე შენობას არ დავამუშავებთ და მის კედლებს გლუვად დავტოვებთ, მისი მასშტაბი გაურკვეველი რჩება. მაგრამ საკმარისია მასში მოთავსდეს ფანჯრის ხერტი ან იგივე ნაგებობა დამუშავდეს რაიმე არქიტექტურული ელემენტებით, რომლებზედაც ჩვენ გარკვეული წარმოდგენა გვაქვს, რომ შენობას განსაზღვრული მასშტაბურობა ენიჭება (ნახ. 2). მასშტაბურობის ამ თვისებას დიდი მნიშვნელობა აქვს მსხვილი ბლოკებით ან პანელებით მშენებლობაში, სადაც მასშტაბის მოდუ-

* სვეტისა და მასზე განლაგებული კოშკისა და კაპიტელის განსაზღვრული სტრუქტურა და მხატვრული სიხე.



ლად შენობის საკმაოდ დიდი ნაწილი, კერძოდ პანელი, ხდება.

საქართველოს შთავრების სახლისა და მარკსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ფასადები თითქმის ერთი და იმავე აბსოლუტური ზომისაა. მაგრამ პირველი გაცილებით მაღალი ჩანს. სხვაობა მასშტაბში მიღებულია მთავარი ტექტონიკური ელემენტის — სვეტნარის სხვადასხვა პროპორციებისა და რითმის გამოყენების გამო.

შენობის მასშტაბის დადგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პრინციპულად ერთი და იმავე, მაგრამ პროპორციებით განსხვავებული ელემენტების ურთიერთდამოკიდებულებას. განლაგების რითმს. კოლსეუმის დიდ მასშტაბს ხაზს უსვამს სხვადასხვა პროპორციების მქონე ორდერული სისტემების ურთიერთგანლაგების პრინციპები. ჰედა სართულზე განლაგებული ორდერი მეტად ტლანჩი პროპორციებისაა, ვიდრე მის ზევით მოთავსებული ორდერი. ამით ხდება ზედა სართულების სიმაღლის ილუზორული ზრდა და ამასთან ერთად ეს ხერხი ტექტონიკურად ამსუბუქებს ზემოდან განლაგებულ სართულებს.

მასშტაბურობის ეს თვისება სათანადო გამოყენების პოვნებს თანამედროვე მშენებლობაში. ასე, მაგალითად, შენობის მთავარი კონსტრუქციული ელემენტის — პანელის პროპორციების სათანადო შერჩევით, მისი წყობის გარკვეული ტექტონიკური სისტემისადმი დამორჩილებით შესაძლებელია ანაკრები კედლის კომპოზიციის სახეობების რიცხვის ზრდა მის სათანადო მასშტაბურობის გამოვლინებასთან ერთად.

მასშტაბური წყობის სათანადო შერჩევა შენობას განსაზღვრულ მონუმენტურობას ანიჭებს. ერთი და იმავე მოცულობა და სართულებიანი ნაგებობები სრულიად განსხვავდება ერთიმეორისაგან, თუ ისინი სხვადასხვა მასშტაბის არქიტექტურული ფორმებითაა დამუშავებული. შენობის მონუმენტურობა სრულიად არ გულისხმობს მის დიდ აბსოლუტურ ზომებს. არამედ დამოკიდებულია ნაგებობის მთავარი ელემენტების მასშტაბზე.


ლენინისა და სტალინის მავზოლეუმი ყველაზე მეორე თავისი აბსოლუტური ზომებით მის სიახლოვეს მდგარ შენობებთან შედარებით. ამავე დროს იგი წამყვან

ნი ელემენტია წითელი მოედნის არქიტექტურაში, რასაც ბევრად უწყობს ხელს მისი მონუმენტურობა. მასშტაბის ფორმების მონუმენტურობა გამოყოფს მას გარემომცველ განაშენიანებაში. ამას ხელს უწყობს მისი მსხვილი ელემენტების მასშტაბური წყობის დაპირისპირება კრემლის კოშკების და სხვა ნაგებობათა შედარებით წვრილ დანაწევრებასთან.

თბილისში, რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში, ერთმანეთს ვევრდით ორი სხვადასხვა მასშტაბის შენობა დგას — საქართველოს მუზეუმის შენობა და საეკონომიკური სახლი. ამ ორ შენობას სხვადასხვა დანაშნეულება და სათანადოდ განსხვავებული არქიტექტურული სახე აქვს. საზოგადოებრივი შენობა მეტ მონუმენტურობას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი სახლი აბსოლუტური ზომებით მეტია მუზეუმის შენობაზე, უკანასკნელი გაცილებით მონუმენტურია. აქაც ეს სხვაობა მიღწეულია მთავარი ელემენტების განსხვავებული მასშტაბური რიგით.

მასშტაბურობის გათვალისწინება ბევრად განსაზღვრავს არქიტექტურული ანსამბლის მხატვრულ სახესაც. წამყვანი ელემენტის გამოყოფა ანსამბლში სწორედ მისი მასშტაბური მწყობრის საშუალებით მოწესრიგდება. გვიანდელ ელემენტებს ანტიკური საბერძნეთის ბუროთომოდორების უკეთავე ქმნილება — ათენის აკროპოლისი, სადაც პარფენონის მსხვილი მასშტაბი დაპირისპირებულია კომპოზიციურად მსგავსად გადაწყვეტილ, მაგრამ სხვა მასშტაბური რიგის მქონე შენობებისადმი.

ამგვარად, მასშტაბურობა არქიტექტურის ისეთი თვისებაა, რომელიც ბევრად განსაზღვრავს ნაგებობისა და მთლიანად ანსამბლის არქიტექტურულ სახეს. იდეას: აკავშირებს შენობას გარემოსთან და ადამიანთან.



ნახ. 2

წერილში მოყვანილია არქიტექტურული მასშტაბის მხოლოდ უმთავრესი თვისებები. მასშტაბურობის პრობლემის დეტალური შესწავლა კი სპეციალური გამოკვლევის მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო საგანია.



სინთეზური მწებავი ნივთიერებანი და მათი გამოყენება სახალხო მეურნეობაში

ი. გვარდნიშვილი

დ. შარაშენიძე

თანამედროვე მრეწველობა იცნობს სხვადასხვა დანიშნულების უამრავ წებოს; წებოებს, რომლებიც ხასიათდება დაწებების შერჩევითი უნარით, სპეციალური დანიშნულების წებოები ეწოდება. არსებობს წებოები, რომლებიც აწებებს თითქმის ყველა მასალას; მათ უნივერსალურ წებოებს უწოდებენ.

წებოების კლასიფიკაციას ახდენენ მათი დამზადების, რეაქციის უნარიანობის, გარეგანი სახის, ტემპერატურისადმი მდგრადობის და სხვა თვისებების მიხედვით. დამზადების მიხედვით წებოები სამ ჯგუფად იყოფა:

1. ცხოველური წებოები, დამზადებული ცხოველური წარმოშობის ცილოვანი ნივთიერებებიდან.
2. მცენარეული წებოები, რომელთა შემადგენლობაში შედის სახამებელი ან მცენარული წარმოშობის ცილოვანი ნივთიერებანი.

3. სინთეზური წებოები, მიღებული სხვადასხვა ნივთიერებიდან, რომელთა უნარი აქვთ შექმნან ფისოვანი წებოები. ამ ჯგუფს მიეკუთვნება სინთეზური ფისების საფუძველზე დამზადებული უნივერსალური თუ სპეციალური დანიშნულების უამრავი წებო.

რეაქციის უნარის მიხედვით წებოები იყოფა თერმოპლასტიკურ (შექცევადი) და თერმორეაქტიულ (არაშექცევადი) წებოებად. თერმოპლასტიკური წებოები სითბოს გავლენით ლღვება, ხოლო გაციელების შემდეგ ისევ მყარდება; ამ დროს ისინი ქიმიურად არ იცვლებიან; გაციელების შედეგად გამყარებული წებო შეგიძლია გათბობით ისევ გავალოთ. თერმორეაქტიული წებოები სითბოსა და კატალიზატორის გავლენით გადის მყარ, უხსნად და არაშექცევად მდგომარეობაში.

გარეგანი სახის მიხედვით არჩევენ თხევად, ფხვნილისმაგარი და ფირისმაგარი წებოებს. თხევადი წებოები წარმოადგენს ბლანტ სითხეებს (გამხსნელითა და გამხსნელის გარეშე). ფხვნილისმაგარი წებოები მშრალი, წმინდადამტეხი ფხვნილებია. ფირისმაგარი წებო კი წარმოადგენს თხელ, ფორივან, ფურცლოვან ან ხეულ ქაღალდს (ფირს), რომელიც გაყვნილია წებოთი და ფისით.

წყლისადმი მდგრადობის მიხედვით არჩევენ შემდეგი სახის წებოებს: 1. ძლიერ წყალმდგრად წებოები, რომლებიც აკარგა იტანს მღელვარე წყლის მოქმედებას, დაწებების სიმტკიცის მარეწვევლები არ იცვლება მღელვარე წყლის მოქმედების შემდეგ. 2. წყალმდგრადი წებოები. თათბის ტემპერატურის მქონე წყლის მოქმედებით მათი დაწებების სიმტკიცე ოდნავ მცირდება. 3. არა-

წყალმდგრადი წებოები, ისინი ვერ იტანენ წყლის მოქმედებას.

მაღალი ტემპერატურის მოქმედებისადმი მდგრადობის მიხედვით არჩევენ თერმომდგრად და თერმოარამდგრად წებოებს.

წებოების უმეტესობა მეტად რთულ კომპოზიციებს წარმოადგენს. წებო სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. ესენია: ძირითადი წებოვანი ნივთიერება, გამხსნელი და დამხმარე ნივთიერებანი (წებოების ნაწილს გამხსნელს არ შეიცავს, რაც ეკონომიურად მიზანშეწონილია).

ძირითადი წებოვანი ნივთიერება უშუალოდ მონაწილეობს დაწებების პროცესში. გამხსნელები იხმარება ძირითადი წებოვანი ნივთიერების გამხსნელად და მათგან წებოვან კომპოზიციებში და გამოიყენება სხვადასხვა მიზნებისათვის, გარკვეული თვისებების წებოს დასამზადებლად. დამხმარე ნივთიერებები უშუალოდ არ მონაწილეობს დაწებების პროცესში, შედის წებოვან კომპოზიციებში და გამოიყენება სხვადასხვა მიზნებისათვის, გარკვეული თვისებების წებოს დასამზადებლად. დამხმარე ნივთიერებებიდან აღსანიშნავია: შემცხვები. მათ იყენებენ ძირითადი წებოვანი ნივთიერების ეკონომიის ანდა მისი განსაზღვრის მიზნით; გამყარებლები — ნივთიერებები, რომლებიც იხმარება ფისების გასამყარებლად; ე. ი. მყარ, უხსნად მდგომარეობაში გადასაყვანად. სხვადასხვა წებოს რეაქციის უნარისა და ქიმიური ბუნების მიხედვით სხვადასხვა გამყარებელი ჰირდება.

სტაბილიზატორები ან ინჰიბიტორები ხელს უწყობენ წებოების კონსისტენციის ან წებების უნარის შენარჩუნებას. წებო წარმოადგენს მაღალმოლეკულურ ნაერთს, რომელიც გამყარებამდე შედგება ერთ და ორგანოზომიუბიანი მოლეკულებისაგან. მაღალმოლეკულურ ნაერთებს აქვს მისწრაფება დროთა განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე და კატალიზატორის მოქმედების გარეშე კი გადავიდეს მყარ მდგომარეობაში, ე. ი. შემდგომი პოლიმერიზაციის შედეგად შექმნას სპ. განზომილებიანი სივრცითი მოლეკულები. ასე ემართება წებოებსაც. სტაბილიზატორის ან ინჰიბიტორის დამატებით მინიმუმამდე დაგვიყვანა გამზადებულ წებოში პოლიმერიზაციის სიჩქარე, რაც განაპირობებს წებოს „სიცოცხლის ხანგრძლიობას“.

მთრმელე ნივთიერებები გამოიყენება წებოს მოსათრმელად. ე. ი. წებოსათვის წყალმდგრადობის მისაღებად; პლასტიფიკატორები გამოიყენება წებოვან კომპოზიციებში, მათთვის პლასტიკური თვისებების მი-



ენიკების მიზნით. ზოგიერთ წებოს, მიკროორგანიზმებისა და მწერებისაგან დასაცავად უმატებენ ანტისეპტიკებსა და კონსერვანტებს.

ტექნიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. კომბინირებულ და მოდიფიცირებულ წებოებს. რომლებიც წარმოადგენს ორ ან მრავალკომპონენტური სისტემებს და ავსაოფილურია ამა თუ იმ სპეციალურ მოთხოვნებს. კომბინირებულ წებოში შერწყმულია შემადგენელი წებოების და მარტივი კომპონენტების საუკეთესო თვისებები, რაც საშუალებას იძლევა წებო დავამართოთ სასურველი ქიმიური და მექანიკური თვისებებით.

ცხოველური წარმოშობის წებოები ისაფუძვლია ცხოველური ორგანიზმების ცილები. ცილოვანი ნივთიერებები ტუტეოვ გახსნის შედეგად განიცდის ნაწილობრივ ჰიდროლის და იძლევა გარკვეულად ჰეპტიკური თვისებების მქონე წებოვან ხსნარებს. ცხოველური წარმოშობის წებოებს ამზადებენ ცხოველის ტყავის, ძვლების, სისხლისა და რძის გადამუშავების შედეგად.

მცენარეული წარმოშობის წებოები მზადდება მცენარეული ცილებისა და ნახშირწყლების საფუძველზე (სახამებლის, დექსტრინის, პექტინის წებო, გლუბარაბიცი, ლატექსი და სხვ.). გარდა ამისა, აღსანიშნავია ცელულოზის საფუძველზე დამზადებული ნიტროცელულოზური და აცეტილცელულოზური წებოები, რომლებიც ცელულოზის ნიტრირების ან აცეტილრებას პროდუქტებს წარმოადგენს.

მცენარეული და ცხოველური წარმოშობის წებოები მაღალი აღჭურვილი თვისებებით ხასიათდება, ქაღალდისადმი და ზ. არის თერმო- და წყალმდგრადი და ადვილად ზიანდება მიკროორგანიზმებით. წყალმდგრადობის უნარის ასაძაღვლად მათ უმატებენ მთრიმლავ ნივთიერებებს, რომლებიც აქტიურად უერთდება ძირითადი წებოვანი ნივთიერებების მოლეკულის ბოლოებს და გადაწყვეს იგი უხსნად მდგომარეობაში; ხოლო ბაქტერიციდული უნარის მისაღწევად — კი ანტისეპტიკებსა და კონსერვანტებს.

მცენარეული და ცხოველური წარმოშობის წებოები გამოიყენება ფანერის, ავეჯის, მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოებაში, სადერგლო და საკანცელარო საქმეში, ხოლო აცეტილცელულოზური წებო კი კონფირების წარმოების სპეციალურ წებოს წარმოადგენს.

ბუნებრივი წარმოშობის ფისებზე გახრდილმა მოთხოვნებმა, რომელსაც ვერ ფარავდა მათი წარმოება, აუცილებელი გახადა ახალი, სინთეზური წებოების წარმოების მიღების მეთოდების შემუშავება. ამჟამად ტექნიკაში გამოყენებულ წებოთა ძირითადი ნაწილი სინთეზური ფისების საფუძველზე მიღებულ წებოებს წარმოადგენს. სინთეზური ფისები მიიღება როგორც პოლიმერისაციის, ისე პოლიკონდენსაციის შედეგად.

წებოებს, რომლებიც მიღებულია პოლიმერისაციის შედეგად მიღებული ფისების სა-

ფუძველზე, მიეკუთვნება პოლივინილეთერული, პოლიეთერული, დიმეთილვინილეთერული, ეპოქსიდური და პოლიეთერეთანული ფისების საფუძველზე მიღებული წებოები; სხვადასხვა ფუნქციებისაგან მიღებული სპეციალური დანიშნულების წებოები და პოლიმერისაციის სხვა პროდუქტები.

პოლივინილაცეტატური წებოები მიიღება ვინილაცეტატის პოლიმერისაციის შედეგად. პოლიმერისაციის ხარისხის მიხედვით მიიღება თხევადი ან მყარ პროდუქტები, რომლებიც იხსნება ორგანულ გამსხნელებში. პოლივინილაცეტატის მაღალი აღჭურვილი თვისებები აქვს ჰის, მინის, პლასტმასის, კერამიკის, ქსოვილების, ტყავისა და სხვა მასალებისადმი. მეტალების დანეშება პოლივინილაცეტატური წებოთი მისაწესწონელი არაა, რადგან მოსალოდნელია ჰიდროლიზი თავისუფალი მჟავას გამოყოფით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კოროზიული მოვლენები. ამ ტიპის წებოს უწყალოფიო მსარეა აგრეთვე მისი ამაღლ თერმო- და წყალმდგრადობა. პოლივინილაცეტატის მწებავი თვისებების გასაუმჯობესებლად მას იყენებენ უმთავრესად მოდიფიცირებული წებოების სახით (ახდენენ მის ნაწილობრივ ჰიდროლის, უმატებენ ნიტროცელულოზის, კაზინის, სახამებელსა და სხვ.). პოლივინილაცეტატის ანალოგიური პოლივინილბუტირატული და პოლიაცეტალური წებოები. ისინი მიიღებიან შესაბამისად ვინილბუტირატისა და აცეტალის პოლიმერისაციით. პოლივინილბუტირატული წებო უმთავრესად გამოიყენება უმსხვრევადი სილიკატური მინის „ტრიბოქსის“ დასაწებებლად. პოლიაცეტალური წებოები ფართო გამოიყენება პოლიკონსტრუქციული წებოების სახით ლითონების დასაწებებლად. თერმომდგრადობის გაზრდის მიზნით მას უმატებენ ფენოლ-ფორმალდეჰიდურ და სხვა თერმოგაქტიურ ფისებს.

ვინილის ეთერების პოლიმერისაციის შედეგად მიიღება პოლივინილეთერული ფისები, რომლებიც წებოს სახითაც იხმარება. დასაწებებლად გამოიყენება მეთილის, ეთილის, ბუტილისა და იზობუტილის ეთერები. პოლივინილეთერული წებოები სხვადასხვა კომპოზიციების სახით (ნიტროცელულოზასთან და პოლივინილდენქლორიდთან ერთად) იხმარება მწებავი ფირების დასამზადებლად; ცელოფანის, ქსოვილების, ქაღალდის დასაწებებლად; რეზინის მინაზე მისაწებებლად და ხისა — ლითონზე.

ვინილქლორიდის პოლიმერისაციის შედეგად მიღებული ფისები ძნელად ხსნადობის გამო იშვიათად გამოიყენება წებოების სახით. პოლივინილქლორიდული წებოები იხმარება ვინილური და აკრილური პოლიმერების საფუძველზე მიღებული პლასტმასების, ტყავის, ორგანული მინის დასაწებებლად.

პოლიზოტეილენური ფისები, მიღებული იზოპრეტინის პოლიმერისაციის შედეგად, ხასიათდება დაწებების სუსტი უნარით. მაღალი დიექტრიკული თვისე-



ბების გამო მისი გამოყენება შეიძლება ქარსის დასაწყებად.

განსაკუთრებით ფართო გამოყენება პოვა ვინილ-თილიკარბონოლბის პოლიმერიზაციით მიღებულმა წებებმა. ი. ნაზაროვის მიერ მიღებული ვინილთილიკარბონოლური წებო უნივერსალურია და ხასიათდება ადჰეზიის მაღალი უნარით ლითონის, პლასტმასების, მარმარილოს, ფაიფურის, მინის, ქარსის, ებონიტის, მერკნისა და სხვა მასალებსადმი. კარბონოლზე 20-30% ქლოროპრენის დამატებით მიღებული პოლიმერიზაციის პროდუქტი წარმოადგენს ლითონზე რეზინის დაწებების კარგ საშუალებას. ვინილთილიკარბონოლური წებოები ცივი გამყარების წებოებია, წებოს ნაკერს არა აქვს დიდი სიმტკიცე. რომელიც უფრო მცირდება დაბალ (-20°) ტემპერატურაზე.

აკრილოლ და მეტაკრილოლური პოლიმერების საფუძველზე მიღებული წებოების ძირითადი დანაშნულებაა ქსოვილების, ქაღალდის, მუყაოს, აგრეთვე ზოგიერთი თერმოპლასტიკისა და ლითონის დაწებება. ზოგ შემთხვევაში სპეციალური დანიშნულების წებოს მასალებად ახდენენ აკრილოლური და მეტაკრილოლური ეთერების თანაპოლიმერიზაციას ვინილური ეთერებთან, სტერილთან, აკრილონიტრილთან და სხვა მონომერებთან. ისინი შედიან წებოვან კომპოზიციებში სხვადასხვა კომპონენტებთან (ნიტროცელულოზა, კანიფოლი, ვინილაკეტატისა და ვინილქლორიდის თანაპოლიმერები, ქლორაქაუნუკი, კუმპრონოლი ფისები) ერთად. აღნიშნული წებოების დადებითი თვისებებიდან აღსანიშნავია მათი თერმო- და წყალმდგრადობა. დაწებების უნარის საშუალო მნიშვნელობა იცვლება 100-200 კგ/სმ² (გაგლეჯა) ფარგლებში.

პოლიურეთანული ფისების საფუძველზე მიღებული წებოები განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მაღალი ადჰეზიური და კოჰეზიური თვისებების გამო. პოლიურეთანული ფისები წარმოადგენს პოლიიზოციანატებისა და პიდროქსილმემცველი პოლიფენქსინოლური ნაერთების ურთიერთშორის რეაქციის პროდუქტებს. ისინი გამოირჩევიან თერმო- და წყალმდგრადობით. დაწებების სიმტკიცე იცვლება 200-350 კგ/სმ² (გაგლეჯა) ფარგლებში. უკანასკნელ დროს დიდ ყურადღებას იპყრობს ერთკომპონენტური პოლიურეთანული წებოები, რომლებიც წყლის მოქმედებით მყარდება. როგორც ცხელი, ისევე ცივი გამყარების პოლიურეთანული წებოები გამოიყენება ყველა სახის მასალის, განსაკუთრებით კი ლითონების დასაწებებლად.

ტექნიკაში ფართო გამოყენება პოვა ეპოქსიდური ფისების საფუძველზე დამზადებულმა წებოებმა. ეპოქსიდური ფისის მოლეკულები შეიცავს ეპოქსიდურ ჯგუფს, რომელიც რეაქციის დიდ უნარში ხასიათდება. ამინებთან, მჟავებთან და სხვა ნაერთებთან ურთიერთ-

ქმედების შედეგად ეს ფისები გადადის მდგრად უხსნად მდგრადობაში და ხასიათდება უმაღლესი ელექტროცდუნელობით. ეპოქსიდური ფისების ძლიერი მალალი ადჰეზიის უნარი აქვს, რის გამოც ისინი პოლიურეთანულ, პოლიურეთანულ, ფენოლ-ფორმალდეჰიდურ წებოებთან ერთად დიდ გამოყენებას პოულობენ ტექნიკაში. განსაკუთრებით კი — თვითმფრინავების მშენებლობასა და რაკეტულ ტექნიკაში. აღნიშნული წებოების დახმარებით უკანასკნელ წლებში შეიქმნა ლითონური კონსტრუქციის ხიდები უკანასკნელ და ელექტრომედულების გარეშე.

სხვადასხვა სინთეზური და ბუნებრივი კაუჩუკების საფუძველზე მიღება სპეციალური დანიშნულების წებოები, რომლებიც გამოიყენება რეზინისა და კაუჩუკის დასაწებებლად. ასეთებია წებოები, მიღებული ნატურალური, ქლორირებული და პიდროქლორირებული ნატურალური კაუჩუკიდან, სინთეზური ბუტადიენური და მეთილბუტადიენური კაუჩუკებიდან და სხვ.

პოლი ფორდენსაციის შედეგად მიღებული ფისების დამახასიათებელი თვისებაა მათი შედარებით მაღალი თერმომდგრადობა. ამ ჯგუფს მიეკუთვნება სხვადასხვა წებოები: ფენოლ-ფორმალდეჰიდური, მელამინური, კარბამიდული, პოლიურეთანული, სილიკორგანული ფისების საფუძველზე მიღებული და სხვ.

ფენოლ-ფორმალდეჰიდური ფისები მიიღება ფენოლისა და ფორმალდეჰიდის თანაკონდენსაციით. გამოყენებული კატალიზატორის მიხედვით მიიღება თერმო-რეზინი (ტუტე კატალიზატორი) და თერმოპლასტიკური (მეავე კატალიზატორი) ფისი.

ფენოლ-ფორმალდეჰიდური ფისი კარგი ადჰეზიური თვისებებით ხასიათდება. მაგრამ რეზინის სტადიაში იგი ძლიერ მყიდვია, რის გამოც ძირითადად მოდიფიცირებული სახით გამოიყენება. არამოდიფიცირებულმა ფენოლ-ფორმალდეჰიდურმა ფისებმა ფართო გამოყენება პოვა ფოროვანი მასალების, კერძოდ მერკნის, ფოროვანი პლასტმასის და სხვ. დასაწებებლად. ფენოლ-ფორმალდეჰიდური მოდიფიცირებული ფისები ფართოდ გამოიყენება ცივი და ცხელი გამყარების წებოების სახით. ეს წებოები ხასიათდება თერმო- და წყალმდგრადობის მაღალი უნარით. დაწებების სიმტკიცე იცვლება 180-250 კგ/სმ² (გაგლეჯა) ფარგლებში. სპეციალური დანიშნულების წებოების მისაღებად ახდენენ ფენოლ-ფორმალდეჰიდური ფისის თანაკონდენსაციას სხვადასხვა ფისებთან (პოლიამიდები, სილიკორგანული ფისები, ეპოქსიდური და პოლიურეთანული ფისები). ფენოლ-ფორმალდეჰიდური ფისებზე გამოიყენება თითქმის ყველა სახის მასალის დასაწებებლად. ცივი გამყარების წებოს ნაკად



უნდა აღინიშნოს მასში მყავე გამყარებლის არსებობის გამო. ფისის მაღალი კოროზიის უნარი.

ფორმალდეჰიდთან შარდოვანას კონდენსაციით მიიღება კარბამიდული ფისები, რომლებიც განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება მეტქნის დასაწებებლად. კარბამიდული ფისები ფენოლ-ფორმალდეჰიდურ ფისებთან შედარებით ნაკლებად წყალმდგრადია. წყალმდგრადობის ასამღლებლად ახდენენ შარდოვანასა და ფორმალდეჰიდის თანაგონდენსაციას თიოშარდოვანასთან, დიეთილენგლიკოლთან ან ახდენენ ამ ფისების კომბინირებას სხვა ფისებთან. კარბამიდული წებოები ცივი და ცხელი გამყარებისაა. უფრო მეტად წყალმდგრადია მელამინური ფისების საფუძველზე მიღებული წებოები, ეგრძოდ მელამინო-ფორმალდეჰიდური და მელამინო-შარდოვანა-ფორმალდეჰიდური ფისები. მელამინური და კარბამიდული წებოები იხმარება განსაკუთრებით მეტქნის დასაწებებლად, მაგალითად ფანერისა და ავეჯის წარმოებაში.

ნაჯერი ან უჯერი მრავალფუძიანი ორგანული მყავეებისა და ნაჯერი ან უჯერი მრავალატომიანი სპირტების


თანაგონდენსაციით მიღებული პოლიეტერები, გამოიყენება ლითონის, მინის, ქსოვილების და სხვა მასალების საჭეზის მაღალი უნარით. პოლიეტერული ფისების საფუძველზე მიღებული წებოები ფართოდ გამოიყენება პოლულობს ლითონისა და მინის, ფაიფურისა და ლითონის ერთმანეთზე მისაწებებლად.

ალსანიშნავია წებოები, მიღებული სილიკოორგანული ფისების საფუძველზე, რომლებიც გამოირჩევა თერმომდგრადობით. სილიკოორგანული ფისები გამოიყენება ფენოლ-ფორმალდეჰიდურ და სხვა ფისებთან ერთად კომბინირებული წებოების სახით.

პოლიამიდური ფისები იხმარება ხის, ქაღალდის, ცელოფანისა და სხვა მასალების დასაწებებლად.

ამჟამად საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ გრძელდება გამოკვლევები ახალი, დიდი სიმტკიცის მქონე თერმო- და წყალმდგრადი წებოების შესაქმნელად (უმთავრესად ლითონური კონსტრუქციებისათვის). საქართველოში ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანული სამუშაო მასალების ლაბორატორიაში.

მანქანა შეცვლის 12000 მიწის მოხრელს



ჭერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ ვ. კუიბიშვილის სახელობის ირკუტსკის მხიმე მანქანათმშენებელ ქარხანაში დაიწყო და თანდათან უმჯობესდება დრაგაზ წარმოება, რომელსაც სამართლიანად „ოქროს ფაბრიკას“ უწოდებენ. ეს ვიგანტური მექანიზმი გამოიყენება ოქროს საბადოებში მ-დან 30

მ სიღრმეზე გრუნტის გადასამუშავებლად. ამჟამად არსებულ დრაგაგებს შეუძლია წელიწადში ერთსაზევარი მლნ კუბური მ-მდე გრუნტის გადასამუშავება, ხოლო თითოეული ჩაჩმა ერთდროულად იღებს 250 ლ კვიშას. საშუალო დრაგა იწონის 1400 ტ-ს და ოთხ-სართულიანი სახლის სიმაღლეა. მისი კვან-

ძებისა და დეტალების გადატანისათვის საჭიროა ასე მეტი სარკინიგზო ვაგონი.

ახალი დრაგა, რომელსაც ითვლისწინებენ კონსტრუქტორები, იქნება მსოფლიოში ერთადერთი მიწასახრელი ვიგანტი. მისი სიგრძე იქნება 230, სიმაღლე — 50, სიმაღლე — 40 მ. ახალ დრაგაზე დაიდგება 200-ზე მეტი ელექტროძრავა სხვადასხვა მანქანებისა და მექანიზმების ინდივიდუალური აძვრისათვის, რომელთა საერთო სიმძლავრე 7500 კვტ იქნება. სერონში მისი მწარმოებლობა 2 მლნ-ზე მეტ კუბურ მ-ს მიაღწევს. მასზე პირველად გამოიყენება მანქანული მართვისა და დავირების სქემა სამრეწველო სატელევიზიო დანადგარებისა და სხეციალურად შემწილი ხელსაწყოების საშუალებით. მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ გამოყენების გამო ამ მანქანის მართვა შეეძლება ცხრა ადამიანი.

ახალი დრაგა, ინჟინრების გაანგარიშებით, შეცვლის 12.000 მიწის მოხრელის ზედიშ მხიმე შრომას.





ქართული ხელოვნება

თხილამურები

აუთენტიკური 3. მლახელი

ტერმინი „თხილამური“, როგორც ცნობილია, თავდაპირველად სპეციალურ თოვლსაბიჯებელ მოწყობადობას ნიშნავდა. დროთა განმავლობაში იგი საგრძნობლად განვითარდა და დღესათვის თხილამურის ქვეშ იგულისხმება თოვლსაბიჯებელი, სასრიალო, რომლებიც თავის მხრივ იყოფა: შორ მანძილზე სასრიალო, სამთო და სახტომ თხილამურებად.

თოვლსაბიჯებელი თხილამურები ყველაზე ადრეულია და უშუალოდ ხალხის სამეურნეო ყოფასთან იყო დაკავშირებული. იგი გამოიყენებოდა ღრმა თოვლზე სასრიალოდ. მთის პირობებში მათ დღესაც შეინარჩუნეს პრაქტიკული გამოყენება.


სასრიალო თხილამურები მოგვიანებით განვითარდა, სახტომი თხილამურები კი დღესაც მხოლოდ სპორტული მნიშვნელობისაა.

უნდა აღინიშნოს, რომ სასრიალო თხილამურები დღესათვის შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას მთიელ ბავშვთა შორის ფართოდ გავრცელებული ქართული სახით თხილამურების მიმართ.

სამთო თხილამურები შედგება ორი სასრიალოსაგან, რომლის სიგრძე შეიძლება იყოს 85 სმ-ზე მეტი, სიგანე — 3,2-7, სიმაღლე 3,3, 5-დან 10-მდე სმ-ია. ორსავე ბოლოში აქვს ღრმულები, რომლებშიც ხელების დასაბჯნად მჭიდროდაა ჩამაგრებული რკალისებო მობირი წნული. წნული სქელი ბოლოთი მაგრდება წინა ნაწილზე (ბოლო დრის — ხშირად უბრალოდ, ლურსმნე-

ბით). სიმაღლე რკალეებისა, რომლებიც ჩვეულებრივ ინდივიდუალური წესით მზადდება, ადამიანს მენჯის შუა ნაწილამდე უნდა წვედებოდეს. ამასთან, რკალის სქელი წინა ბოლო უფრო სიმძლავრით მაგრდება, ვიდრე უკანა ბოლო, რამდენადაც რკალის სწორედ ამ ნაწილზე მოდის დიდი დატვირთვა მოხვევის, დამუხრუჭების დროს და ა. შ. თვით სასრიალო წარმოადგენს ხის ითხუთხედ ქელას, წინ ამოღებული ოდნავ წაწვეტებული ცხვირით, რაც ხელს უწყობს დამუხრუჭებას.

საქართველოს სხვადასხვა მთიან რაიონში თხილამურები ფეხზე სხვადასხვაფერად მაგრდება. ასე, მაგალითად, ზემო და მთის რაუკში სასრიალოებს ფეხის ზომისას აკეთებენ (ფეხი მჭიდროდ უნდა იქნეს რკალის შიგნით), ხოლო თუშეთში, პირობით, აკეთებენ ფეხზე გაცილებით ვრცელს და დამატებითი საყრდენი-



ნახ. 1

სათვის (დაშვებისას სასრიალოზე ფეხი რომ არ დაეცურდეს) მის წინა ნაწილზე ამაგრებენ მოკლე პალოებს ანდა ზის ნაჭრებს. მიმართვე-

ლი ფეხისათვის შეიძლება შეიყვანოს თხილამურის, რომელიც მაგრდება რკალის უკანა ბოლოსთან, ხელს უწყობს მოხვევას და დამუხრუჭებას ზოგჯერ დიდი სიჩქარით მოძრაობისას.

რაუკში, ხეესურეთში, ფშავსა და საქართველოს სხვა მთიან რაიონებში ამ თხილამურების ფორმა შეიცვალა, ხოლო თუშეთში სხვა ცვლილებებითან ერთად მას თანდათან აგრძელებენ და აძლევენ თანამედროვე სპორტულ-სასრიალო თხილამურების ფორმას. ამ შემთხვევაში რკალის ბოლოები ძალაქვეით მაგრდება. 1-ლ ნახ-ზე გამოსატყლო პრაქტიკულ, 120 სმ-მდე სიგრძის სასრიალო, რომელიც ჩვეულებრივ თვითნაკეთ თხილამურს გვაგონებს. რესპუბლიკის ცალკეულ მთიან რაიონში სამთო თხილამურების ეს სახეობა თანდათან უახლოვდება ჩვეულებრივი სპორტული თხილამურების სახეობას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თუშეთში ამ თხილამურებით ფართოდ სარგებლობენ ზაფხულში სმელ, მშობი მორტუსულ ბალახზე მთიდან დასაცურებლად.

აღწერილი მთის თხილამურებს საქართველოს სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა სახეწოდება აქვს. ხეესურეთსა და ზემო მას „ლექმარხილა“ ეწოდება, მთიულეთ-გუდამაყარში — „კაგდები“, თუშეთში — „ქოკები“ და „ქოქოზები“ (ეს უკანასკნელი შედარებით პატარა ზომისაა, უფრო მეტი ასაკის ბავშვებისათვის), ზემო და მთის რაუკში — „საცურიალები“ და ა. შ. ზემო რაუკის ზოგჯერ სოფელში, ძველ მკვიდრთა განმარტებით, ეს თხილამურები ატარებს იმ სოფლის სახელს, სადაც პირველად გაჩნდა იგი. მაგალითად, სოფელ მუხლში ამ თხილამურებს „სორიულეებს“ უწოდებენ, რაც წარმოადგარა მეზობელ სოფელ სორიდან. სორში კი მათ უწოდებენ ზემო რაუკში საერთოდ მიღებულ სახელს „საცურიალებს“. სხვადა-

სხვა ადგილზე გავრცელებული თხილამურების სახელწოდებათა ურთიმერობისგან გამომდინარეობს, რომ ისინი ძველთაგანვე უნდა ყოფილი-



ნახ. 2

ყო გავრცელებული საქართველოში.

ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში ვერ ვპოულობთ ცნობებს წარსულში ან ამჟამად სსრ კავშირის ტერიტორიაზე ასეთი თხილამურების მსგავსი სახეობის არსებობის შესახებ. გამონაკლისს წარმოადგენს დოქტორ ბრუნო პლატეშკის ნაშრომი, რომელშიც მოყვანილია თხილამურების ფოტო-გამოსახულებანი, ტექსტში კი გავკრით ლაპარაკი ჩრდილო-კავკასიის ერთ-ერთი ხალხის მიერ მისი გამოყენების შესახებ. გარდა ამისა, არსებობს ჟურნალ „სპარტაკში“ (№ 46, 1929 წ. 15 ნომერი) საინფორმაციო ხასიათის პატარა ხელმოწერილი სტატია, რომელშიც ლაპარაკია ოსეთში (როგორც ჩანს, ჩრდილო ოსეთში) გავრცელებული თხილამურების შესახებ, მაგრამ რატომღაც აღნიშნულ თხილამურებზე დაშვებას უწოდებენ — „სრიალი განსაკუთრებული სახის ციგურებზე და მათი მოწყობილობა“ (ნახ. 2).

ჩვენ მიერ 1960 წელს ჩრდილო ოსეთში შეკრებილ იქნა საინტერესო მასალა საქართველოში სამთო თხილამურების მსგავსი თხილამურების შესახებ. გამოირკვა, რომ ოსეთშიც

ყოფილა გავრცელებული თხილამურების ეს სახეობა. მუხურში დაცულია მეტად საინტერესო ფოტოსურათი, რომელზედაც გამოხატულია მთიდან სამთო თხილამურებით დაშვება. წინა პლანზე ორი მთლიანად გაპლარაგებული მოხუცი, გვერდზე კი მოჩანს ბავშვები ასეთივე თხილამურებით. როგორც ეს თ. ავაპოვის მიერაა აღდგენილი, ოსეთში ამ თხილამურებით სრიალებდნენ არა მარტო ბავშვები და მოზრდილები, არამედ მოხუცებიც კი (ნახ. 3).

ჟურნალ „სპარტაკში“ მოყვანილი სურათის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მოწყობილობა გამო-




ნახ. 3

იყენება სწორედ თოვლიანი მთიდან დასაშვებად და არა ყინულზე სასრიალოდ, როგორც ეს ხდება ციგურების გამოყენებისას. ცხადია, რომ ამ მოწყობილობას, რომელიც გამოიყენება სასრიალოდ თოვლზე და არა ყინულზე, უნდა ეწოდოს თხილამურები და არა ციგურები. სწორი აზრია ამ მხრივ გამოთქმული დოქტრ. ავაპოვის მიერ, რომელიც ამ სახის თხილამურების შესახებ წერს: „ოსეთში გავრცელებული იყო ცურაობა მოკლე თხილამურებზე“. ამასთან ავტორი იქვე იძლევა მათ აღწერილობასა და ფოტოსურათს.

მოყვანილი კონკრეტული მასალები ნათლად ადასტურებს, რომ თოვლიანი მთიდან დასაშვები საქმიანობის მოწყობილობა სამთო თხილამურებია და თხილამურების მეტად ორიგინალურ სახესხვაობას წარმოადგენს.

ცნობილია, რომ პრინციული განსხვავება თხილამურებსა და ციგურებს შორის გამოიხატება ფორმასა და სასრიალო ზედაპირის ფართობში. იმ დროს, როდესაც ციგურების სასრიალო ზედაპირი გაცილებით მცირეა, ვიდრე ტერფი, და სრიალი განხორციელებულია ყინულზე სხეულის სიმძიმით გაზრდილი დაწოლით, თხილამურების მიმართ საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, თხილამურების სასრიალო ზედაპირს გააჩნია დიდი ფართობი, რაც უზრუნველყოფს თოვლის ზედაპირზე სხეულის სიმძიმის უფრო თანაბარ განაწილებას. ეს კი ამცირებს დაწოლის ფართობის ზედაპირის ერთეულზე. ქართულ ციგურებთან „სამთო თხილამურების“ შედარებისას უნდა აღინიშნოს, რომ პირველის სასრიალო ზედაპირი, მართალია, თანამედროვე თხილამურების ზედაპირზე ვიწროა, მაგრამ გაცილებით ჭარბობს ციგურებისას, თუნდაც ის ხის იყოს. თხილამურების ნაკლები სიგრძე განხორციელებულია მათი გამოყენების ადგილის რელიეფისა და დაშვების მოკლე უბნებზე ხშირი მანევრირების აუცილებლობით. დაშვების ხერხები (მოხვევები, დამუხრუჭება და ა. შ.) ძალზე წა-



ნახ. 4

ავაგს ჩვეულებრივი თხილამურებით დაშვების ტექნიკას.

რაც შეეხება ციგურებს, უნდა აღინიშნოს შემდეგი: საქართველოს

მთიანი რაიონების, კერძოდ მთის რაჰის, პირობებში ჩვენ ვნახეთ ხის ციგურები (ნახ. 4), რომლებიც როგორც ფორმით, ისე გამოყენების

იდაყვებით სახელურები მიიზიდება ტანსაცმენ, რაც ზელს უწყობს თხილამურებზე უფრო მყარად დგომას.

ფეხები იდგმება სასრიალოებზე ან გასწვრივად (თუ ფეხები მჭიდროდ და მოთავსებული სახელურებს შორის, ნახ. 5). ან ფეხის წვერები ოდნავ შეზრუნებულია ცალ მხარეს (თუ მანძილი დამავრების ადგილებს შორის ფეხის ტერფზე უფრო გრძელია, ნახ. 1). მანძილი ფეხებს შო-



ნახ. 5

ტექნიკით, მართლაც, ნამდვილი ციგურებია (მას „ამოსაჯრავს“ უწოდებენ). ჩვენ მიერ აღწერილი თხილამურებით სახიფათოა ყინულიანი მთიდან დაშვება, „ძნელია თავის შემავრება“, როგორც მთაში ამბობენ.

სამთო თხილამურებით სარგებლობის ტექნიკა. პირველ რიგში შევჩერდებით თხილამურების ტარების ხერხებზე მთაზე ასვლის დროს. თხილამურებს ატარებენ შემდეგნაირად: ორივე თხილამური სასრიალოებით გადაკიდებულია მხრებიდან ზურგზე (ხელები ამ დროს ჩავლებულია სახელურის შუა ნაწილზე), ცალ მხარეზე გადაკიდებით, ჯვარედინად ან თხილამურებზე დაბჯენით.

თხილამურებზე დგებიან შემდეგნაირად: მუხლებში ოდნავ მოხრით. ამ დროს ორივე ფეხი იდგმება სასრიალოებზე, ხელები ჩავლებულია სახელურის ცენტრალურ ნაწილში, ტანი გადახრილია წინ, ამიტომ სიმძიმის ცენტრიც გადატანილია რამდენადმე წინ. ასეთი საწყისი (სასტარტო) დგომა ყველაზე უფრო მოხერხებულია დასაშვებად. თუშეთში ბავშვები დაბალ დგომას იყენებენ. სასრიალოებზე დადგომის შემდეგ მოთხილამურე აკეთებს ღრმა ჩაჯდომს, გაუყრის რა მხრებს თხილამურების სახელურებში, ეყრდნობა მათ. ხელებით ჩაქვიდება სახელურის ქვედა — წინა ნაწილს.



ნახ. 6

რის მხრების სიგანეზე ოდნავ ვიწროა და მოძრაობის დროს იცვლება ადგილმდებარეობის პირობების მიხედვით. ხელების ხუთივე თითი ჩავლებულია სახელურის ზედა (საშუალო) ნაწილზე.

საწყისის წინა მდგომარეობის ხერხები: ერთი ფეხი შეზრუნებულია დალბართის მიმართულებით, მეორე კი — რამდენადმე შიგნით, ამ მიზნით, რომ დაშვების დაწყებამდე შეიძლებოდეს თავის შეკავება და მოთხილამურე საწყისი ნიშნის მიცემამდე არ დაიწყოს სრიალი. ეს, შეიძლება ითქვას, სპორტულ თხილამურებზე „წინასაწყისი“ მდგომარეობის ანალოგიურია. დადგამს

რა ფეხებს პარალელურად მუხლებზე ლამურე იწყებს დაშვებას. მოთხილამურის მდგომარეობა დაშვებისას, იმასთან დავაშორებით, თუ რამდენად ციცაბოა ფართობი და აქედან რამდენად სწრაფია დაშვება, მოთხილამურე აკეთებს მცირე ან ღრმა ჩაჯდომს, აგრეთვე ახდენს სხეულის სათანადო გადახრას (წინ, უკან). კორპუსის მდგომარეობას მთიელები მოხერხებულად იყენებენ დაშვების სისწრაფის გაძლიერების ან შენელებისათვის. იგივე შეიძლება ითქვას დაშვების დროს ფეხების მდგომარეობაზე.

დღიო სისწრაფით სრიალის დროს (ხელოვნურ ფერდობზე) საყრდენი ფართობის გადიდების მიზნით (დგომის სიმაღლის შესაქმნელად) ერთი ფეხი გადაწეულია რამდენადმე წინ. საქართველოს ზოგიერთ მთიან რაიონში, კერძოდ ზემო რაჰაში, სამთო თხილამურებით ხელების დაუხმარებლად ეშვებიან, აკეთებენ რა ამორტიზაციის ფეხებითა და ტანით (ნახ. 6). ამ შემთხვევაში მთავარი დამხმარე წონასწორობის გრძნობაა. ცალკეულ შემთხვევაში, სადაც



ნახ. 7

ადგილმდებარეობა ამის საშუალებას იძლევა, თხილამურებით დადიან, რიგრიგობით ადგამენ თხილამურებს



სასრიალო წინა ნაწილით. მოხვევები სრულდება შემდეგი ხერხებით: მოხვევა სასურველ მხარეს ორივე ფეხით, შეხტომით, თხილამურების ერთ-ერთ შიდა მხარეზე დაწოლით, რაც ხორციელდება სათანადო მხარეზე სიმძიმის ცენტრის გადატანის ხარჯზე (ამ შემთხვევაში მეორე ფეხი ოდნავ ზევით აიწევს). მოხვევების საერთო წესი იმაში გამოიხატება, რომ ფეხი და მისი შესატყვისი ხელი ერთდროულად უნდა მოქმედებდეს. დამუხრუჭებისათვის კი მოთხილამურე თითქმის უპირატესო წელში, ზოგჯერ ტანს უკანაც კი ხრის (ციცაბო ფერდობზე დაშვებისა და დიდი სიჩქარის დროს). ამ დროს მუშაობაში უბეჭდა ფეხები (ნახ. 7).

დამუხრუჭება ორივე ფეხით ერთდროულად ხდება სასრიალოს უკანა მხარეზე ფეხის წვერის დაჭერით; ამ მიზნით ხელის დამხარებით აიწევს თხილამურის წინა ნაწილი იმდენზე,

რამდენის საშუალებასაც იძლევა ფერდობის დაქანების კუთხე 35-40°-მდე. დამუხრუჭება ცალი ფეხით ანალოგიურია ზემოაღწერილი დამუხრუჭებისა, ოღონდ სრულდება ცალი ფეხით.

შეჩერებისათვის მთიელები თხილამურს ეყრდნობიან ცალი ფეხით, შეაბრუნებენ რა მას შიდა მხარეს.


შეჩერება სხვადასხვაგვარად სრულდება: თხილამურებიდან გადმოხტომა ორივე ფეხით, ერთდროულად (მოთხილამურე ეყრდნობა ხელს, წამოიწევს, გადმოხტება თხილამურებიდან და ინერციით აკეთებს რამდენიმე ნაბიჯს. თხილამურები ხელში შეჩერება სხვადასხვა მდგომარეობაში). შეჩერება ერთი ფეხის დამუხრუჭებით ზემოაღწერილის ანალოგიურია. შეჩერება წაქცევით — აუცილებლობის შემთხვევაში მოთხილამურე ჩერდება წაქცევით, რაც ორი ხერხით ხდება:

შეჩერება უკან დაწევით და შეჩერება უკან წაქცევით.

სწრაფდაშვება ზემოაღწერილი თხილამურებით მიჩნეული უნდა იქნეს ფიზიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებად ზამთარში. მსგავსი ტიპის სამთო თხილამურებით დაშვებისას მოძრაობათა შედარებით რთული ტექნიკა სპორტული წვრთნის სწორი ორგანიზაციის შემთხვევაში უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ფიზიკური და ნებელობითი, აგრეთვე სხვა თვისებების განვითარებას.

მთიან რაიონებში ბავშვის დიდი გატაცება აღნიშნული თხილამურებით წასახალისებელია. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს რესპუბლიკის სამთო მოთხილამურეების აღიარებული მომზადების დამხმარე საშუალებად.

მცურავი საბურღი დანადგარი



საბურღი დანადგარის სქემა: მარცხნივ — სატანსპორტო მდგომარეობაში, მარჯვნივ — ბურღვისას
ინტერტუბი „ვიბრომოირინგუტი“ აპროექტებს ორიგინალურ მცურავ საბურღ დანადგარს კასპის ზღვაზე 1800 მ-მდე სიღრმის

საზღვრი ქაბურღილების გასაყვანად. ის იმუშავებს ამ უბნებში, სადაც ზღვის სიღრმე 15 მ-ს არ აღემატება.

საბურღი კოშკურა ყველა მოწყობილობით, საწარმოო და საუფაცხოვრებო სადგომოა ილდმება დიდ ლითონურ პონტონზე. მასზე მოთავსებულია მოედანიც შეუღლმფრენისათვის. პონტონის კუთხეებშია ოთხი ასაწევი ხიშიჩ-საყრდენი. დანადგარის სამუშაო ადგილზე გადასვლისას ისინი აწეულია. როცა დანადგარი დანიშნულ ადგილზე მდებარეობს, ხიშიჩები ეშვება ფსკერში და საიმედო ღუზებს წარმოადგენს პონტონის დამაგრებისათვის.

წონის გადღებისათვის პონტონში ჩაიტუმება ზღვის წყალი. შემდეგ მძლავრი დოშრატების დახმარებით პონტონი აიწევა ხიშიჩებსა და მიმართულებებზე ზღვის ზედაპირიდან 8 მ სიმაღლეზე.

მუშა მდგომარეობაში პონტონი საყმად მდგარადაა და დანადგარს შეუძლია შეუწყვეტლო მუშაობა ღღღის დროსაც კი.

როცა ქაბურღილის ბურღვა დამთავრდება, პონტონი ეშვება ძირს და მისგან მძლავრი ტუმბოებით ამოიტუმება წყალი. ხიშიჩები ამოიღება ფსკერის გრუნტიდან და აიწევა ზედა მდგომარეობაში, რის შემდეგ დანადგარი ხელახლა ხდება მცურავი და შეუძლია გადაადგდეს მორიგი ქაბურღილის გაღვის ადგილას.

სხვადასხვა მექანიანი ჯიშის თესლთა გადსამუშავებელი აღამჯრომეანიკური მანქანა

ავტორობი ბ. სარალიძე

ცნობილია, რომ უტყეო ადგილებსა და ქალაქის მიდამოების გასაშენებლად, აგრეთვე ქარსადაც ზო-
ლების შექმნისათვის დიდძალი სარგავი მასალა საჭი-
რო: ამიტომ ჩვენში ყოველწლიურად ფართოდება სა-
ნერგეები, ხოლო მათ ბაზად სათესლე მეურნეობა ითუ-
ლება.

ზემოაღნიშნული მიზნებისათვის მარტო საქართვე-
ლოში ყოველწლიურად არაღმდენი ათეული ტონა მერ-
ქნიანი ჯიშის სუფთა თესლი მზადდება, რაც, ცხადია,
საქმარ შრომასა და სახსრებს მოითხოვს.


სამუშაობრო, დღისათვის მერქნიანი ჯიშის მეთეს-
ლეობის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ჯერ კიდევ
ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. თესლის დამზადება-
შენახვის ბევრი საკითხი მოითხოვს შესწავლასა და გა-
უმჯობესებას. ბევრი რამაა გასაკეთებელი თესლის გა-
დამუშავების მექანიკის საქმეში.

სხვადასხვა მერქნიანი ჯიშის თესლის გადამუშავება
ძირითადად კუსტარულად (ხელით) წარმოებს, ხოლო
ზოგ შემთხვევაში — მექანიზებულად. მაგალითად, ცნო-
ბილია სოქისა და კედარის გირჩის დასამუშავო მანქანა.
მისი დანიშნულებაა გადამუშავოს მარტო სოქისა და კე-
დარის გირჩი მისი გახმობის შემდეგ. არსებობს წიწვი-
ნი ჯიშის თესლთა ფრთების გასაცლელი მანქანა, რომე-
ლიც გადამუშავებულ თესლს ფრთებს აცლის. გამოყე-
ნებულია აგრეთვე თესლის საწინააღმდეგო მანქანა თეს-
ლის გასასუფთავებლად.


თესლის გადამამუშავებელი სპეციალური მანქანე-
ბი, რომლებიც გადამამუშავებდა მრავალი მერქნიანი ჯი-
შის თესლს, დღემდე არ გვქონდა. თესლას
გადამამუშავების ზოგიერთი წესი მოძველდა და ვეღარ
უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნებს. მაგალითად, ჩვენ-
ში ტუების თესლი შემოდგომამდე მწოდება და იკრი-
ფება, ხოლო კვიპაროსებისა — შემოდგომამდე მწოდე-
ბა და მისი მოკრეფა გვიანი შემოდგომიდან გაზაფხუ-
ლის შუა რიცხვებამდე გრძელდება. დღემდე არსებული
წესით აღნიშნული თესლები უნდა გადამამუშავდეს ან
სპეციალურად აგებულ გირჩისაშრობში, სადაც ხელოვ-
ნურად შექმნილია 35-40° ტემპერატურა. ანდა ბუნებ-
რი პირობებში, მზეზე, როცა მისი ტემპერატურა 35-
40°-ს აღწევს. პირველ შემთხვევაში გირჩისაშრობის აგე-
ბა და გადამამუშავებელი მასალის ადგილზე მიზიდვა
საქმარ ხარჯებს მოითხოვს, ხოლო მეორეში — ზაფხუ-
ლის თვეებისადმი ლოდინი აფერხებს თესლის დამზადე-
ბას, რადგან აღნიშნული თესლების თესვა ჩვენს პი-

რობებში გაზაფხულსა ან გვიან შემოდგომამდე წარმოებს.
ზემოაღნიშნულის გამო ბუნებრივად ისმება საკით-
ხი სხვადასხვა მერქნიანი ჯიშების თესლთა მექანიკური
გადამამუშავების შესახებ, რაც საგრძნობლად შეამცირებს
თესლის თვითღირებულებას.

თესლების დამზადების პროცესში დაკვირვებებისა
და გამოცდილებათა საფუძველზე 1938 წელს შემუშავე-
ბულ იქნა კვიპაროსების თესლის მექანიკურად გადსა-
მუშავებელი მანქანა, რომელიც გამოდგებოდა მარტო
კვიპაროსების გირჩის გადსამამუშავებლად. ერთი წლის
მუშაობის შემდეგ მანქანა გაუმჯობესებულ იქნა. გამოც-
დამ გვიჩვენა, რომ იგი სასეგებით ვარგისია არა მარტო



ახალი თესლარჩევი მანქანის ხელი



ახალი თესლარჩევი მანქანის გრძივი კრილი, 1—გარეთა უძრავი დოლი ცილებით, 2—შიგა მბრუნავი დოლი ცილებით, 3—შიგა მბრუნავი დოლი კონუსური ცილანა, 4—გადამცემი ლერძი კონუსური ცილანით, 5—ფართოდიამეტრიანი გადამცემი შკივა, 6—მცირედიამეტრიანი გადამცემი შკივა, 7—გადამცემი ლედი, 8—ელექტროძრავა, 9—საურდენი განივა, 10—მანქანის ფეხები დასაღმევლად

კეიბაროსის თესლის, არამედ სხვადასხვა მერქნიანი ჯიშის თესლის გადასამუშავებლად. ასე, მაგალითად: მანქანა აქუცმაცებს ძნელადშლადი ფიჭვის გაბურღულ გირჩებს, რასაც შემდეგში მარტო გაცხრილვანია იგება სჭირდება. აღნიშნული მანქანის გამოყენებით შრომის ნაყოფიერება 5-ჯერ იზრდება.

მანქანა კარგად ამუშავებს თეთრი აკაციის, აღმოსავლეთის კარდის, იუდას ხის, დროკისა და სირიის ვარდის თესლს. გადამუშავებული თესლები მოითხოვს მხოლოდ განივებას ან გაცხრილვას.

მანქანა კარგად ამუშავებს აგრეთვე წვნიან ნაყოფებს (პარტა, მაქალო). ის ნაყოფსამტკრევი მანქანები,

რომლებიც ემსახურება სველი ნაყოფების დამუშავების გამოწერვას, თავისი დანებით მათში შეიჭრება თესლს, აღნიშნული მანქანა კი თესლის დუზიანებად აქუცმაცებს ნაყოფს, საიდანაც ადვილად გამოირჩევა თესლი.

მანქანის გამოცდამ გვიჩვენა, რომ ერთ ასეთ მანქანას 2 მუშახელის მომსახურებით წელიწადში შეუძლია გადაამუშაოს 100-200 ტ სხვადასხვა მერქნიანი ჯიშის თესლის ნედლეული (გირჩი, ნაყოფი, პარკი, კოლოდი) და პროდუქტია გააიფოს 3-5-ჯერ.

მანქანა აგებულია გირჩების, კოლოდების, პარკებისა და ნაყოფების დაქუცმაცების პრინციპზე არა დანების ან ჩვეულებრივ დოზზე განლაგებული ცილების საშუალებით, არამედ ორ ვერტიკალურად მოთავსებულ დოლს შორის ცილების სათანადო მანძილით დაშორების პრინციპზე.

მანქანას აქვს ორი ვერტიკალურად დაყენებული დოლი: ერთი, გარეთა — უძრავი და, მეორე, შიგნითა — მოძრავი. დოლა შორის განლაგებულია ურთიერთმობირდაირე ცილებით, რომლებიც ერთმანეთში გადის, ცილთა შორის მანძილი ზევიდან ქვევით მცირდება (60 მმ-დან 8 მმ-მდე), ასევე მცირდება თვით ცილთა შორის არეც. დოლის ჩასაყრელი და გამოსაცემი ადგილები ღიაა; მუშაობის დროს დოლის ზედა ნაწილში, ცილების 60 მმ-ით დაშორებულ ადგილში, ჩაყრალი ნედლეული თანდათან ქუცმაცდება და ბოლოს აღწევს ცილთა შორის მანძილის მინიმალურ დაშორებას — 8 მმ-ს და გამოცემა ბოლოში. ცილების ასეთი განლაგების გამო აქ შეიძლება გადამუშავდეს ყველა თესლი, რომელიც დიამეტრი 7 მმ-ს არ აღემატება. თესლები ცილთა შორის თავისუფლად გადის, არ იქედება და არ ზიანდება.

მანქანის მოძრაობაში მოსაყვანად მის ქვედა ნაწილზე დადგმულია 1 კეტ-იანი ელექტროძრავა მცირედიამეტრიანი შკივით, ხოლო მანქანის ზედა ნაწილში — გადამცემი ლერძი ფართოდიამეტრიანი შკივით ბრუნთა რიცხვის შესამცირებლად. გადამცემი ლერძი კონუსური ცილანით შეერთებულია შიგა მბრუნავი დოლის კონუსურსავე ცილანასთან. მანქანის ასამუშავებლად ელექტროძრავა ლევის საშუალებით გადასცემს ბრუნვას მბრუნავ ლერძს, ხოლო ლერძი კი თავისი კონუსური ცილანით ბრუნვას გადასცემს შიგნითა მბრუნავ დოლს.

მანქანა ლითონისაგანაა დამზადებული. მისი სიმაღლეა 70 სმ, დიამეტრი — 32 სმ, ელექტროძრავითი იჩონის 50 კვს. მანქანა კომბინირებულია ხელით მუშაობისათვისაც. ზედა შკივის აქვს სახელური ელექტრონერგების უქონლობისას მისი ხელით მუშაობისათვის.

გეგნიერებისა და გეგნიერების



კეიოგნიერების

* მიმდინარე წლის 15 ივლისს შესრულდა 25 წელი დღი რუსი გეოლოგის, აკადემიკოსის ალექსანდრე პეტრეს ძე კარპინსკის გარდაცვალებიდან.

აკადემიკოსი ა. კარპინსკის სახელთან დაკავშირებულია რუსული და საბჭოთა გეოლოგიური მეცნიერების განვითარების მთელი ეპოქა. იგი იყო არა მარტო დიდი მასშტაბის მეცნიერი და რუსული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, არამედ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი.

ა. კარპინსკი დაიბადა 1847 წლის 7 იანვარს ურალზე, დიდა ბოგოსლავსკი ზავოდში, რომელიც ახლა კარპინსკის სახელს ატარებს. მამამისი იყო ინჟინერი ი. ი. პისი გარდაცვალების შემდეგ 10 წლის ბავშვმა შეიკვანეს პეტერბურგის სამთო კარბუსში, რომელიც მალე სამთო ინსტიტუტად გადაკეთდა. 1866 წელს კარპინსკი ოქროს მედალზე დამოუკიდებლად და მთლიან სამთო ინჟინრის წოდება.

ახალგაზრდა სპეციალისტი ზღაბოვების სამთო ოლქში გაიგზავნა, მაგრამ მას ურალზე მხოლოდ ორი წელი მოუხდა დარჩენა. პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის 1868 წელს კარპინსკის იწვევენ პეტერბურგში, სამთო ინსტიტუტში. 21 წლის ახალგაზრდა უდიდესი გაცაცებით დაეწაუხა მეცნიერულ მუშაობას. ზღაბოვების ოლქში თავისი გეოლოგიური დაკვირვებების მასალებს იგი წარმოდებდა იყენებს შრომისათვის „სიფ. მუღდაგაევის და მთა კანარის ავიტის“ შეიკველი ქანებით. ეს შრომა საფუძვლად დაედო დისტრუქციის, რომელიც კარპინსკიმ წარმატებით დაიკვა 1869 წელს.

28 წელი გაგრძელდა ა. კარპინსკის პედაგოგიური მოღვაწეობა სამთო ინსტიტუტში. ამ ხნის განმავლობაში მან არა მარტო მოამზადა სამთო საქმისა და გეოლოგიის მუშაობის სპეციალისტი, არამედ შექმნა რუსული გეოლოგიური სკოლა.

